

**ქართველურ-აფხაზური ლინგვოკულტურული
ურთიერთობის ისტორიიდან – X
მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვები**

ქართველურ-აფხაზური ხანგრძლივი და მჭიდრო ურთიერთობის კვალი ლექსიკის ყველა სფეროში შეინიშნება. გამონაკლისი არც მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვები აღმოჩნდა.

სტატიაში ძირითადად განხილულია საერთო წარმოშობისა და ქართველურიდან აფხაზურში შეთვისებული ფორმები.

ძირითადი ნაწილი ამ სიტყვებისა საერთოქართველური, ან ქართულ-ზანური ენობრივი ერთობის დროინდელია, ნაწილი სალიტერატურო ქართულის კუთვნილებაა, ნაწილი კი უშუალო მეზობლობის გამო მეგრულიდან უსესხებია აფხაზურს. მცირე ნაწილი ამ სიტყვებისა ორსავე ენაში შეთვისებულია, ძირითადად თურქულიდან.

1. საერთოქართველური და აფხაზური სიტყვები:

გაზომვა (ქართ.) „ზომის აღება, ზომის გარკვევა, რისამე მოცულობის გარკვევა“ (ქეგლ II: 510), **ზიმუა** (მეგრ.) „გაზომვა“ (ჭარაია 1997: 67), **ლიზმი** (სვან.) „ზომვა“ (თოფურია 2000: 432) – **ა-ზარა** „გაზომვა“ (ჯანაშია 1954: 108); საერთო ფორმად მიიჩნევა პ. ჭარაია (ჭარაია 1912: 24).

დაკავება „დაკავება, გაკავება, გაჩერება; დაჭერა, დაპატიმრება“ (ქეგლ III: 442), **დაკება** (მეგრ.) „დაკავება“ (ჭარაია 1997: 56), **ლიკუენი** (სვან.) „დაჭერა, დაკავება“ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 260) – **ა-კრა** „დაჭერა“ (უსლარი 1887: 142), **ა-კვრა** „id.“ (ჭარაია 1912: 26); პ. ჭარაიას თვალსაზრისით ქართ. **კა**, მეგრ. **კვ**, აფხ. **კვ** ნათესაობას ამჟღავნებს (ჭარაია 1912: 27). ხ. ბლაჟბაც იმეორებს შეხედულებას **კავება** და **ა-კრა** ძირითა საერთო წარმოშობის შესახებ (ბლაჟბა 1948: 42)

კაკანი „1. ქათმის ხმიანობა. 2. კაკანის მსგავსი წვრილი ხმით სიმღერა; კაკანივით გაბმული ლაპარაკი. 3. გადატ. გაბმული სროლის ხმა“ (ქეგლ IV: 1025), **კაკანი** „ქათმისა და კაკბის ჳმიანობა“ (საბა 1991: 347),

კარკალი (მეგრ.) „კაკანი“ (ყიფშიძე 1914: 252); **კარკაც** (სვან.) „კაკანი ქათმისა“ (კლიმოვი 1964: 105) - **აკაკარა** „კაკანი“ (ჯანაშია 1954: 140); **აკარკარრა** „id.“ (შაყრილი 1986: 300); ხმაბაძვითი სიტყვებია და ნათესაობის დასამტკიცებლად ნაკლებად გამოდგება (ჭარაია 1912: 27), თუმცა აფხაზურ სიტყვათა ვარიანტები გვავარაუდებინებს, ქართველურის გავლენა იგრძნობა, პირველი ფორმა ქართულიდანაა შეთვისებული, მეორე კი – მეგრულიდან (სხვა ხმაბაძვით სიტყვებზე იხ. ქვემოთ).

ტეხა „რაიმე მაგარი საგნის ნაწილებად ქცევა ძალის მიყენებით, დარტყმით“ (ქეგლ VI: 1284), **ტახუა** (მეგრ.) „ტეხა“ (ჭარაია 1997: 128), **ოტახუ** (ლაზ.) „ტეხა; სიმინდის ალება“, **ლატხი** (სვან.) „სატეხი, წერაქვი“ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 432) – **ატეხრა** (ზუ.) „მეორედ გათოხნა“ (ბლაჟბა 1964: 209). აზჟურში ამ სემანტიკით გვხვდება საკუთრივ აფხაზური **ა-ვენც'ალა** (გვანცელაძე 1997: 224). შესაბამისად, ბზიფურში წარმოდგენილი ფორმა ქართულიდანაა ნასესხები.

2. ქართულ-ზანური და აფხაზური სიტყვები:

ამ მონაკვეთში განიხილება არა მხოლოდ დიაქრონიულად წარმოდგენილი ქართულ-ზანური ფუძე-ფორმები, არამედ ის სიტყვებიც, რომლებიც პოვნირია ორსავე ენაში (ზანურში ნასესხებია ქართულიდან):

ადგომა „სახელი ადგება ზმნის მოქმედებისა“ (ქეგლ I: 116), **ედგინა** (მეგრ.) „id.“ (ჭარაია 1997: 63), **დოდგინუ** (ლაზ.) „დადგომა“ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 168) – **ა-გგლარა** „id.“ (უსლარი 1887: 128); ფორმები შეაპირისპირა პ. ჭარაიამ (ჭარაია 1912: 22). მკვლევარი მიიჩნევს, რომ საერთო წარმომავლობის სიტყვებია.

ბანდალი „კუთხ. (იმერ.) უილაჯოდ სიარული ღონემიხდილის სიარული, – ლასლასი, ბარბაცი“ (ქეგლ I: 968), **ბანდალი** (მეგრ.), **ბანდალი** (ლაზ.) „ბარბაცი“ (ჩიქობავა 2008: 251) – **ა-ბანდალეირა** „სიარული, ბანდალი“ (გენკო 1998: 49); სიტყვა აფხაზურში ქართულიდანაა შეთვისებული (შაგიროვი 1989: 151).

ბაქიაობა / ბაქიობა „ტყუილ-უბრალო ქადილი, – კვებნა, ტრაბახი“ (ქეგლ I: 997) **ბაქინი** (მეგრ.) „ბაქიაობა“ (ქაჯაია 2001: 226) – **ა-ბაქრა**

„ბაქიობა“ (კასლანძია 2005: 218). ვფიქრობთ, სიტყვა აფხაზურში ქართულიდანაა შეთვისებული.

გაკეთება „1. შრომით რისამე შექმნა. 2. გამდიდრება“ (ქეგლ II: 616), **კეთება** (მეგრ.) „კარგად ყოფნა, გამდიდრება“ (ქაჯაია 2002: 115) – **არჯათარა** „გაბედნიერება“ (ჯანაშია 1954: 238); სიტყვა აფხაზურში ქართულიდანაა შესული (ლომთათიძე 1999: 25).

გამოკოპიტება „კუთხ. (გურ. იმერ. რაჭ.) შავად გამოთლა, გამოჭრა, გამოჩორკნა“ (ქეგლ II: 781), **გოკოპიტუა** (მეგრ.) „გაკოპიტება“ (ჭარაია 1997: 52) – **აკოპტიდრა** „გამოკოპიტება“ (ჯანაშია 1954: 149); სიტყვა აფხაზურში ქართულიდანაა შესული (ლომთათიძე 1976: 149).

დავა „1. კამათი, პაექრობა; 2. საჩივარი“ (ქეგლ III: 296), **დავა** (მეგრ.) „დავა“ (ქაჯაია 2001: 426) – **ა-დაურა** (აბჟ.) „კამათი“ (კასლანძია 2005: 335). სიტყვა მეგრულსა და აფხაზურში ქართულიდანაა შესული.

დახვეწა „სახელი დახვეწს ზმნის მოქმედებისა. 1. ხვეწით დასუფთავება, გაწმენდა. ძაფის დახვეწა. 2. გადატ. გამართვა, გაშალაშინება, გაწმენდა, გაფაქიზება“ (ქეგლ III: 1075) **ხვეწუა** (მეგრ.) „ხვეწა“ (ჭარაია 1997: 178) – **ა-ხაწრა** „დახვეწა (ქსოვის ელემენტი)“ (ჯანაშია 1968: 171). სიტყვის როგორც ფონეტიკური, ისე სემანტიკური („ძაფის დახვეწა“) მნიშვნელობა გვაგარაუდებინებს, რომ აფხაზურში ქართულიდანაა შესული.

დახმარება „შემწეობის აღმოჩენა, მიშველება, შველა; ხელის გამართვა“ (ქეგლ III: 1080), **მოხმარება** „1. რისამე გამოყენება, რამეთი სარგებლობა; 2. დახმარების გაწევა, შემწეობის აღმოჩენა“ (ქეგლ V: 1104), **მოხვარა** (მეგრ.) „მოხმარება“ (ყიფშიძე 1914: 402) – **ა-ხარა** „დახმარება“ (უსლარი 1887: 168); 3. ჭარაია მიიჩნევს, რომ სიტყვა აფხაზურში ქართველურიდანაა შესული (ჭარაია 1912: 41).

პატივისცემა „1. პატივით მოპყრობა, – თავაზიანი, მოწიწებული დამოკიდებულება. 2. გადატ. პურ-მარლით გამასპინძლება“ (ქეგლ VI: 150), **პატივისცემა** (ძვ. ქ.) „პატივის მიგება“ (აბულაძე 1973: 338), **პატიცემა** / **პატიმიცემა** / **პატიმიშცემა** (მეგრ.) „პატივისცემა“ (ქაჯაია 2002: 478) – **ა-პატჟუქწარა** „პატივისცემა“ (შაყრილი 1987: 15). აფხაზურში ქართულიდანაა შესული.

სიცილი „სიხარულის, მხიარულების, კმაყოფილების გამოხატვა სპეციფიკური წყვეტილი ხმებით, რომელთაც თან ახლავს ხშირი და ძლიერი ამოსუნთქვა“ (ქეგლ VI: 1099), **სიცილი** „კისკასი, ხარხარი, თქართქარი“ (ჩუბინაშვილი 1887: 1183); **ძიცა** (მეგრ.) „სიცილი“ (ციფშიძე 1914: 375); **ოძიცინუ** (ლაზ.) „სიცილი“ (მარი 1910: 217), **სიცნალ** (სვან.) „id.“ – **ა-ჩჩა-რა** „სიცილი“ (ჯანაშია 1954: 345); ივარაუდება, რომ სიტყვები საერთო წარმომავლობისაა (ჭარაია 1912: 48; ბლაჟბა 1948: 41)

ფართხალი „1. მთელი სხეულით უნებული და უმწეო მოძრაობა; 2. ძაგძაგი“ (ქეგლ VII: 27) **ფართხალი** (მეგრ.) „ფართხალი, მიწაზე დაგდებული სულდგმულის მოძრაობა“ (ჭარაია 1997: 133); **ოფურთხუ / ოფურთხინუ** (ლაზ.) „აფრენა“ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 458) – **ა-ფართხალიერა** „ძნელად გადაადგილება“ (შაყრილი 1987: 31); აფხაზურში შესულია ქართულიდან (შაგიროვი 1989: 151).

ფრენა „1. ფრთების მოძრაობა, სვლა ჰაერში; 2. გადატ. მეტისმეტად სწრაფად სირბილი, – ქროლა“ (ქეგლ VII: 169), **ფურინუა** (მეგრ.) „ფრენა“ (ციფშიძე 1914: 339) – **ა-ფგრა** „ფრენა“ (უსლარი 1887: 153); ხმაბაძვითი სიტყვებია. 3. ჭარაია ამ ფორმებს უკავშირებს მეგრულ **ფარვალ**-ს „პეპელა“ (ჭარაია 1912: 35). შდრ. უდიური **ფურ**-, არჩ. **ფარხ**- (კლიმოვი 1964: 190), ასევე აბაზ. **ფგრა**, უბიხ. **ფგრ** „ფრენა“ (ჩუხუა 2006: 59)

შეშინება „შიშის მოგვრა, გამოწვევა, განცდა (განცდევინება), შიშისაგან შეკრთომა; დაფრთხობა, დაფეთება“ (ქეგლ VII: 1296), **შქურინი** „შიში“ (ციფშიძე 1914: 360) – **ა-შარა** „შიში“ (უსლარი 1887: 53). ფორმები შეაპირისპირა 3. ჭარაიამ (ჭარაია 1912: 53).

ცლა „1. სახელი ცლის, იცლება ზმნათა მოქმედებისა; 2. იგივეა, რაც განმუხტვა“ (ქეგლ VIII: 639); **ჩოლუა** (მეგრ.) „დაცლა“ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 590) – **ა-თა-რ-ც°-რა** „დაცლა“; ხ. ბლაჟბა მიიჩნევს საერთო ძირად ორივე (ქართულ-აფხაზური) ენისთვის (ბლაჟბა 1948: 42).

წებვა „წებოს საშუალებით მიკვრა, დაკავშირება“ (ქეგლ VIII: 1041), **ჭაბუა** (მეგრ.) „id.“ (ციფშიძე 1914: 385), **მეჭაბუ** (ლაზ.) „მიწებება“ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 662) – **ა-ჭაბრა** „id.“ (ჯანაშია 1954: 393); **ჭაბგა** „წებვისთვის გამოსაყენებელი ფუნჯი“ (შაყრილი 1987: 425); აფხაზურში შესულია მეგრულიდან (მაჭავარიანი 1966: 165).

ჭამა „1. საკვების, საჭმლის პირში მოქცევა, ღეჭვა და ყლაპვა“ (ქეგლ VIII: 1224), **ჭკომუა** (მეგრ.) „ჭამა“ (ყოფშიძე 1914: 391), **ოჭკომუ** (ლაზ.) „ჭამა“ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 681) – **ა-ჭამჭამრა** „ჭამა“ (შაყრილი 1987: 426). ჩანს, აფხაზური ფუძეგაორკეცებული ფორმა ქართულიდანაა ნასესხები.

3. საკუთრივ ქართული და აფხაზური სიტყვები:

აოშვა „ხელმეორედ არაღრმად მოხვნა, გაფხვიერება“ (ქეგლ I: 517), **აოშვა** „მეორედ ხვნა“ (ჩუბინაშვილი 1887: 41) – **ა-შარა** “მარგვლა” (ჯანაშია 1954: 336); ფორმები შეაპირისპირა ქ. ლომთათიძემ (ლომთათიძე 2000: 234). მკვლევარი მიიჩნევს, რომ აფხაზური სიტყვა ქართულიდანაა ნასესხები.

გაკოტრება „კრახი“ (ქეგლ II: 625) – **ა-კატრაჰარა** „გაკოტრება“ (შაყრილი, 1986, 339). სიტყვა აფხაზურში ქართულიდანაა შესული.

კამკამი „სინათლის გამოკრთომა, წმინდა შუქის გამოცემა, ელვარება გამჭვირვალე საგნისა, – ციმციმი, კიაფი“ (ქეგლ IV: 1044), **კამკამი** „კამკაშება, მჭვირვალეობა ელვარებით; ციმციმი ნაკადულთა“ (ჩუბინაშვილი 1887: 591) – **ა-კამკამრა** „თვალეების ბრწყინვა, კამკამი“ (შაყრილი 1986: 296). სესხების მიმართულებაზე საუბარი ძნელია, ფაქტია, რომ საერთო ფუძესთან გვაქვს საქმე.

მოთქმა „ხმამაღლა ტირილი, ტირილით გლოვა, გოდება, ვაება“ (ქეგლ V: 686) – **ა-მეტკმა** „მოთქმა“ (ჯანაშია 1954: 200); სიტყვა აფხაზურში ქართულიდანაა შესული (შაგიროვი 1989: 142).

სწავლა „1. ცოდნის შეძენა, განათლების მიღება. 2. განათლება, ცოდნა“ (ქეგლ VI: 1209) – **ა-წარა** „სწავლა“ (ჯანაშია 1954: 380); მიიჩნევა საერთო ქართველურ-აფხაზურ ძირად (ჭარაია 1912: 46).

ქვითინი „უსიტყვოდ, მაგრამ ხმით ტირილი, ნაწყვეტ-ნაწყვეტად გულამოსკვნით ტირილი, – ქვითქვითი“ (ქეგლ VII: 318), **ქვითინი** „გულის ამოსკვნით ტირილი“ (ჩუბინაშვილი 1887: 1338) – **ა-ქერთ** „ქვითინი“ (გვანცელაძე 2003-ა: 212). შესაძლოა, ქართული და აფხაზური ფორმები საერთო ძირს შეიცავდეს.

შრობა „სველის მშრალად ქცევა, სისველის კლება“ (ქეგლ VII: 1438) – **ა-შარგლარა** „ძროხის გაშრობა“ (ჯანაშია 1954: 332); აფხაზური რთული

ტერმინის პირველი კომპონენტი ქართულ შრ-ობა ძირს უკავშირდება, ხოლო მეორე – -ლა აფხაზური ზმნური სუფიქსია იქითა მიმართულებისა (ლომთათიძე 1999: 26). შესაბამისად, სიტყვის ძირი ქართული წარმომავლობისაა.

ჩვენება „დანახვება“ (ქეგლ VIII: 496), **ჩვენება** „მოჩვენება ან სიზმარი“ (ჩუბინაშვილი 1887: 1576) – **ა-ჩანაბა** „ჩვენება“ (ჯანაშია 1954: 343). აფხაზურში შესულია ქართულიდან – აფხაზური ნასესხებ სიტყვებში ვერ ახერხებს სათანადო შიშინა აფრიკატთა ლაბიალურ კომპლექსში შენარჩუნებას და ჩამოშორდება ლაბიალური კომპონენტი (ამ შემთხვევაში ვ), ამასთანავე ე > ა (ლომთათიძე 1976: 222).

ციალი „მცირე რამ ელვარება (საბა), – ციმციმი“ (ქეგლ VIII: 613) – **ა-ცეღრა** „ბრწყინვა“; ხ. ბლაჟბა მიიჩნევს, რომ **ც-** საერთო ქართველურ-აფხაზური ძირია (ბლაჟბა 1948: 42).

4. ზანური და აფხაზური სიტყვები:

ბანძლი (მეგრ.) „დავა, დავიდარაბა, აყალმყალი, ალიაქოთი; ჩხუბი“ (ქაჯაია 2001: 217) – **ა-ბანძლ** „სკანდალი“ (კასლანძია 2005: 220). სიტყვა აფხაზურში მეგრულიდანაა შესული (ბუკია 2010: 9)

ბარბალი / **ბარბალუა** (მეგრ.) „ყბედობა“; **ობარბალუ** (ლაზ.) „ყბედობა, ბოდვა“ (მარი 1910: 129) – **ა-ბარბარრა** „ყბედობა, ხმამაღლა ლაპარაკი, ფუქსიტყვაობა“ (კასლანძია 2005: 221).

გადღანება (მეგრ.) „გაკვირვება; დამრახვა, დაწუნება; მოქმედების, საქციელის დაგმობა“ (ქაჯაია 2001: 280) – **ა-გ°გბლან** „საყვედური“ (გენკო 1998: 69; შდრ. **გ°გბლან** „წყენა, უკმაყოფილება“ (აბრლ 1967: 137). გ. კლიმოვი აფხაზურ ფორმას ადიღურიდან შეთვისებულად მიიჩნევს, თუმცა იქვე დასძენს, რომ ადიღურ ნიადაგზეც საკმაოდ ნათელი არაა ფუძის აგებულება (კლიმოვი 1968: 292). შესაძლოა, მეგრული და აფხაზური საერთო ძირითაა წარმოდგენილი.

გაჩჩეტება (მეგრ.) „გათამამება, განებივრება“, **გაჩჩეტებული** „გათამამებული“ (ქაჯაია 2009: 64) – **არჩაჩატრა** „id.“ (რალ 1964: 31). მეგრული ფორმა სემანტიკის გადაწევით ქართულ **ჩერჩეტ**-ს უკავშირდება. სავსებით დასაშვებია, აფხაზურს მეგრულისგან ესესხებინოს სიტყვა.

დიხაშ ნწალუა (მეგრ.) „მიწის დაქცევა, მიწისძვრა“ (ქაჯაია 2001: 477) – **ა-დგ გლწესრა** „მიწისძვრა“ (ჯანაშია 1954: 94). აფხაზური სიტყვის პირველი ნაწილი **ა-დგ გლ** ქართულიდანაა ნასესხები. ვვარაუდობთ, რომ **წესრა** ფორმასაც კავშირი უნდა ჰქონდეს მეგრულ **ნწალუა**-სთან.

ვარკალი (მეგრ.) „ბრჭყვიალი, ბრწყინვა“ (ქაჯაია 2001: 581); **ვარკალა** „კრიალა“ (ქობალია 2010: 305); – **ა-ვარკალეირა** „ბრჭყვიალი“ (შაყრილი 1987: 186); **ა-ვარკალეი** „ბრწყინვალე“ (რალ 1964: 503). მეგრულსა და აფხაზურში საერთო ფუძეები ჩანს.

კვარკვალი „ტრიალი“ (ქობალია 2010: 359); **კვარკვაში** (მეგრ.) „ტრიალი, ბრუნვა; პატარა გუნდად დახვევა; მატყლის ქულებად მომზადება“ (ქაჯაია 2002: 125) – **ა-კვარკვალეირა** „ტრიალი“ (შაყრილი 1986: 338); **ა-კვარკვაშა** (აბჟ.) „კოჭი“ (კასლანძია 2005: 528). ორივე აფხაზური ფორმა პირველადი და გადაწეული სემანტიკით აფხაზურში მეგრულიდანაა შესული.

პარტყალი (მეგრ.) „ტიკტიკი, პურტყუნი“ (ჭარაია 1997: 112) – **ა-პატყალეირა** „ტიტინი“ (ჯანაშია 1954: 219); სიტყვა აფხაზურში ქართულიდანაა შესული (ლომთათიძე 1976: 149).

ტყვაცი (მეგრ.) „მეხის გავარდნა“ (ყიფშიძე 1914: 331), **ტყვაცუა** (მეგრ.) „ტკაცანი, ტკრციალი“ (ჭარაია 1997: 130), **ტკვაცუნ** (ლაზ.) „ფეთქდება“, **ლიტყცანე** (სვან.) „დარტყმა“ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 446) – **ა-ტყყაცრა** „სკდომა, ხეთქვა, ქუხილი, აფეთქება“ (გენკო 1998: 230). სიტყვა აფხაზურში მეგრულიდანაა შეთვისებული (გვანცელაძე 1998: 105)

ღანჯი (მეგრ.) „ჟანგი“ (ყიფშიძე 1914: 349) **ღანჯამ გური** „ბოლმინი გული“ – **ა-ღანჯ** (აბჟ.), **ა-ღანჯ** (ზზ.) „გაბრაზება“ (ბლაჟბა 1964: 219), **ანჯ** (ზზ.) „id.“ (შაყრილი 1986: 20). ქართულმა **ჟანგ**-მა მეგრულში მნიშვნელობა გაიფართოვა და „ბოლმის“, „მტრობის“, „ბრაზის“ სემანტიკა მიიღო, ასეთივე მნიშვნელობით შეითვისა აფხაზურმა.

ღაჭალი (მეგრ.) „ხმამაღლა ლაპარაკი, ჩხუბი“ (ყიფშიძე 1914: 349) – **ა-ღაჭალეირა** „უაზრო ლაპარაკი“ (შაყრილი 1986: 182). სიტყვა აფხაზურში მეგრულიდანაა შეთვისებული.

ჩხარჩხალი (მეგრ.) „წყლის ხმიანობა“ (ქაჯაია 2002-ა: 327) – **ა-ჩაჩხალეი** (აბჟ.), **ა-ლაკარ** (ზზ.) „საწვიმარი ღარი“ (ბლაჟბა 1964: 205), **ა-**

ჩეჩხალე „id.“ (კასლანძია 2005-ა: 525). აბჟუური ფორმა სემანტიკის გადაწევით მეგრულიდანაა ნასესხები.

წურუა (მეგრ.) „დაკვალვა“; **დიხაშ წურუა** „სახნავში ხვნის დროს შორიშორს კვლის გავლება, – კვლების გაკეთება“ (ქაჯაია 2002-ა: 444), **წურუა** (მეგრ.) „მიწის ფართობის საზომი ერთეული“ (ჯავახიშვილი 1987: 240) – **ა-წურუა** (აბჟ.), **ა-ლაზა** (ბზ.) „ნახნავი, ხნული“ (ბლაჟბა 1964: 209); აბჟუური ფორმა მეგრულიდანაა ნასესხები, ბზიფური კი – ქართულიდან.

ჭაჭუა (მეგრ.) „სხმა“ (ჭარაია 1997: 170) – **ა-ჭაჭრა** (აბჟ.), **ა-რეფხრა** (ბზ.) „თამბაქოს, ხახვის, ხილის შეკვრა, კონა“ (ბლაჟბა 1964: 209); აფხაზურში შესულია მეგრულიდან (შაგიროვი 1989: 145). შდრ. **ა-ჭაჭგა** (აბჟ.) „ფოლადის ნემსი, თამბაქოს ასასხმელი“ (კასლანძია 2005-ა: 528).

ჭყინჭყოლუა (მეგრ.) „ჭმუჭნა, სრესა“ (ქაჯაია 2002-ა: 500) – **ა-ჭკვანჭკვალეირა** „ტანსაცმლის ჭმუჭნა“ (შაყრილი 1987: 428).

ხანდა (მეგრ.) „შრომა, გარჯა“ (ყიფშიძე 1914: 397) – **ა-ხანდეირა** „შრომა“ (შაყრილი 1987: 215); აფხაზურში შესულია მეგრულიდან (შაგიროვი 1989: 151).

ხორუა (მეგრ.) „დასახლება“ (ყიფშიძე 1914: 407) – **ა-ნხარა** „დასახლება“ (ჯანაშია 1954: 212); ფორმები შეაპირისპირა პ. ჭარაიამ (ჭარაია 1912: 30); შდრ.: ქართ. **სა-ხ-ლი** : მეგრ. **ო-ხორ-ე** „სახლი“ : ლაზ. **ო-ხორ-ი** : სვან. **ქორ** „სახლი“.

აქვე წარმოვადგენთ ხმაბადვით სიტყვებს, რომლებიც გვხვდება ქართველურსა და აფხაზურში. ზოგადად, ასეთ სიტყვათა ურთიერთნასესხობაზე, მითუმეტეს, სესხების მიმართულებაზე მსჯელობა ჭირს, მაგრამ ფაქტი, რომ ეს სიტყვები ერთნაირი ფონეტიკური მასალითაა წარმოდგენილი, გვაპირადუბინებს საერთო წარმომავლობაზე, ან ენათა ურთიერთგავლენაზე:

პაპაფი (მეგრ.) „მოწევა, მოქაჩვა თამბაქოსი“ (ქაჯაია 2002: 475) – **ა-პაქ** „ხმაბადვითი სიტყვა, მოწევისას გამოცემული“ (შაყრილი 1987: 8)

პარპალი (მეგრ.) „ყბედობა“ (ყიფშიძე 1914: 297) – **ა-პარპარრა** „ყბედობა“ (რალ 1964: 57).

ღრენა „გაჯავრებული მხეცის, ძაღლის... შემტევი, მუქარით, წყრომით ხმიანობა“ (ქეგლ VII: 472), **ღრენა** „ბღღვინვა მხეცთა, ძაღლთა“

(ჩუბინაშვილი 1887: 1366), **ღირინი** (მეგრ.) „ღრენა“ (ციფშიძე 1914: 351), **ოღირინუ** (ლაზ.) „ღრენა“ (ქუთელია 2005: 58) – **ა-ღღრა** „ღრენა“ (ჯანაშია 1954: 312), **ა-ღღრა** „id.“ (შაყრილი 1986: 183).

ყმუილი „მგლის, ძაღლისა და მისთანათა გაბმული ხმიანობა“ (ქეგლ VII: 558), **ყურაფი** (მეგრ.) „ყმუილი, ყუვილი“ (ჭარაია 1997: 150) – **ა-ურა** „ღმუილი, დაღმუილება“ (ჯანაშია 1954: 272).

ყვირილი „ხმამაღლა ძახილი ადამიანისა“ (ქეგლ VII: 539) – **ა-ყაარა** „ყვირილი, ღმუილი“ (კასლანძია 2005: 579).

წირწინი (მეგრ.) „წილი; ხმადაბლა ტირილი, წრუწუნნი, წრიპინი“ (ქაჯაია 2002-ა: 422) – **ა-წერწერა** „წრიპინი“ (ჯანაშია 1954: 389), **ა-წერწერჟე** „წრიპინი, ხმადაბალი ტირილი“ (კასლანძია 2005-ა: 498).

ჭარჭალი (მეგრ.) „ჭიკჭიკი“ – **ა-ჭარჭაღიარა** „ხმაბაძვითი სიტყვა, რომელიც გამოხატავს ბავშვის ხმიანობას, ზოგადად, ჭრიჭინს“ (შაყრილი 1987: 427).

ჭირჭინი (მეგრ.) „ჭიკჭიკი“ (ჭარაია 1997: 171), **ლიჭერჭენი** / **ლიჭერეჭი** (სვან.) „ჭიკჭიკი“ (თოფურია 2000: 483) – **ა-ჭერჭერა** „ჭიკჭიკი“ (რალ 1964: 232), **ა-ჭერჭენ** „id.“ (შაყრილი 1987: 431).

ჭურჭული (მეგრ.) „ჭიკჭიკი, ჟღურტული“ (ქაჯაია 2002-ა: 492) – **ა-ჭარჭაღიარა** „ხმაბაძვითი სიტყვა, გამოხატავს ბავშვების ხმაურს, ზოგადად ჟრიამულს“ (შაყრილი 1987: 427).

ხარჩალი (მეგრ.) „წყლის ჩხრიალით, ჩუხჩუხით დინება; ჩქეფა“ (ქაჯაია 2002-ა: 518) – **ა-ხარჩ** „წყლის ხმიანობა“ (შაყრილი 1987: 259).

ხუილი „ხმაბაძვ. მდინარის ან ქარის ხმაური“ (ქეგლ VIII: 1523) – **ა-ხაარა** „ბღავილი“ (ჯანაშია 1954: 419)

5. ნასესხები სიტყვები:

ამანი (მეგრ.) „ბოდში, პატიების თხოვნა“ (ქობალია 2010: 35) – **ამან** „პატიება“ (გენკო 1998: 163). **ამანი** თურქულად შეწყალებას, შებრალებას ნიშნავს „ამანი მისცა“ – მტრის დანებება მიიღო“. „ციხე ამანით დაიპყრო“ – ციხე უბრძოლველად ჩაიბარა. „ამანი თქვა“ – დამორჩილდა (ფუთურიძე 1973: 131).

ქეიფი [არაბ. ქეიფ] „1. ლხინი, დროსტარება, ნადიმი ღვინის სმით, – ღრეობა. 2. გუნებ-განწყობილება, მხიარულ, კარგ გუნებაზე ყოფნა“ (ქეგლ VII: 285), **ქეიფი** „(სპ.) შექცევა, განცხრომა“ (ჩუბინაშვილი 1887: 1332), **ქეფი** / **ქეეფი** / **ქეიფი** (მეგრ.) „ქეიფი, ლხინი“ (ყიფშიძე 1914: 342), **ქეიფ** (სვან.) „ქეიფი“ (თოფურია 2000: 782) – **ა-ქაჟ** „ქეიფი“ (ჯანაშია 1954: 308).

ღალატი „[არაბ. **ღალატ** „შეცდომა, დანაშაული“] 1. გამცემლობა, ვერაგობა, ორგულობა; 2. სხვაზე გაცვლა, ორგულობის გამოჩენა, მოვალეობის უგულვებელყოფა, – მოტყუება; 3. გადადგომა, ზურგის შექცევა თავისი რჯულის, წესის და მისთ.“ (ქეგლ VII: 392) – **ა-ღალატრა** (აბჟ.) „ღალატი“ (გენკო 1998: 76). ეს უკანასკნელი ქართველურიდანაა ნასესხები აფხაზურში.

ჯაფა [არაბ. ჯაჟა] „მძიმე შრომა“ (ქეგლ VIII: 1565), **ჯაფა** „(არაბ.) ძნელი მუშაობა, სარჯელი“ (ჩუბინაშვილი 1887: 1766) – **ა-ჯაბაა** „ჯაფა“ (უსლარი 1887: 132), **ა-ჯა** (შაყრილი 1987: 543).

ლიტერატურა:

აბრლ 1967 – Абазинско-русский словарь. Москва

აბულაძე 1973 – ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი

ბუკია 2010 – მ. ბუკია, ქართველური ლექსიკა ვ. კასლანძიას „აფხაზურ-რუსულ ლექსიკონში“, არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის 69-ე სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი

ბლაჟბა 1948 – Х. Бгажба, Общие корни (и основы) в абхазском и картвельских языках, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, II, თბილისი

ბლაჟბა 1964 – Х. С. Бгажба, Бзыбский диалект абхазского языка, Тбилиси

გენკო 1998 – Н. А. Генко, Абхазско-русский словарь, Сухуми

გვანცელაძე 1997 – თ. გვანცელაძე, აფხაზეთის ისტორიოგრაფიის ლინგვისტური საფუძვლები. დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი

- გვანცელაძე 1998** – ტოპონიმ „ტყვარჩელისა“ და ყოჩივარდას მეგრული სახელწოდებების ეტიმოლოგიისათვის, ქართველური ონომასტიკა, ტ. I, თბილისი
- გვანცელაძე 2003** – თ. გვანცელაძე, აფხაზური და ქართველური ენების შემსწავლელთათვის, ქართულ-აფხაზური ლექსიკონი, ტ. II, თბილისი
- თოფურია 2000** – ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი
- კასლანძია 2005** – В. А. Касландзия, Абхазско- русский словарь, т. I, Сухуми
- კასლანძია 2005-ა** – В. А. Касландзия, Абхазско- русский словарь, т. II, Сухуми
- კლიმოვი 1964** – Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, Москва
- კლიმოვი 1968** – Г. А. Климов, Абхазско-адыгские этимологии II (заимствованный фонд). Этимология-1966, Москва
- ლომთათიძე 1976** – ქ. ლომთათიძე, აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ- შედარებითი ანალიზი, I, ფონოლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები, თბილისი
- ლომთათიძე 1999** – ქ. ლომთათიძე, აფხაზურსა და ქართველურ ენებში არსებული ზოგი საერთო ფუძის ნასესხობის მიმართულებებისათვის, ჩიქობავას საკითხავები – X, თბილისი
- ლომთათიძე 2000** – ქ. ლომთათიძე, მიწათმოქმედების დარგის ერთი საერთო ზმნური ფუძე ქართულსა და აფხაზურში და მისი ეტიმოლოგიის ცდა, ქართველური მემკვიდრეობა, IV, ქუთაისი
- მარი 1910** – Н. Я. Марр. Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматией и словарем. С.-Пб.
- მაჭავარიანი 1966** – გ. მაჭავარიანი, სუბსტრატის საკითხისათვის დასავლურ-ქართველურ (ზანურ-სვანურ) ენობრივ არეალში, იკვ, XV, თბილისი
- რალ 1964** – Русско-абхазский словарь, гл. ред. Х. С. Бгажба, Сухуми
- საბა 1991** – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბილისი

- უსლარი 1887** – П. К. Услар. Этнография Кавказа. Языкознание. Абхазский язык. Тифлис
- ფენრიხი, სარჯველაძე 2000** – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი
- ფუთურიძე 1973** – ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გიორგი ფუთურიძემ, ნაკვ. II, გამოკვლევა, კომენტარები, თბილისი
- ქაჯაია 2001** – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, თბილისი
- ქაჯაია 2002** – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, თბილისი
- ქაჯაია 2002-ა** – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. III, თბილისი
- ქაჯაია 2009** – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. IV (დამატებანი), თბილისი
- ქეგლ** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი, 1955-1964
- ქობალია 2010** – ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი
- ქუთელია 2005** – ნ. ქუთელია, ლაზურის ფონემატური სისტემა, თბილისი
- ყიფშიძე 1914** – И. А. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем. С.-ПБ
- შაგიროვი 1989** – А. К. Шагиров, Заимствованная лексика абхазско-адыгских языков. Москва
- შაყრილი 1986** – К. С. Шакрыл, В. Х. Конджария, Вловарь абхазского языка, т. I, Сухуми
- შაყრილი 1987** – К. С. Шакрыл, В. Х. Конджария, Л. П. Чкадуа, Вловарь абхазского языка, т. II, Сухуми
- ჩიქობავა 2008** – არნ. ჩიქობავა, შრომები, ტ. IV, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი
- ჩუბინაშვილი 1887** – დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, ს.-პბ Д. Чубинашвили, Грузино-русский словарь, С.-ПБ
- ჩუხუა 2006** – მ. ჩუხუა, ლაზიურ თანხმოვანთა შესატყვისობისათვის ქართველურსა და აფხაზურ-ადილურ ენებში, არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის 65-ე სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი

ჭარაია 1912 – П. Чарая, Об отношении абхазского языка к яфетическим, МЯЯ, IV, С.-Пб

ჭარაია 1997 – პ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი

ჯავახიშვილი 1987 – მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის. ი. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით, ტ. IV, ნაწ. II. სოფლის მეურნეობის დარგები, თბილისი

ჯანაშია 1954 – ბ. ჯანაშია, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი

ჯანაშია 1968 – ს. ჯანაშია, ეთნოგრაფია, შრომები, ტ. IV, თბილისი

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. 43, თბილისი, 2015, გვ. 41–51

Ibero-Caucasian Linguistics, Vol. 43, Tbilisi, 2015, p. 41-51